

## ენერგეტიკის განვითარებას საფრთხე ემუქრება

პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ კანონში ცვლილებას - მუხლის: „სისტემის ოპერატორის შერწყმა ან/და წილის/აქციების ან საოპერაციო აქტივის გასხვისება ან/და მაკონტროლებელი პირის (საბოლოო ბენეფიციარის) ცვლილება“ დამატებით.

შემოთავაზებული ცვლილება მარეგულირებელს აძლევს ჩამოუყალიბებელ ბუნდოვან უფლებამოსილებას, მისთვის უცხო, კორპორატიული სამართლის სფეროში, რაც სცილდება ლიცენზირების და რეგულირების მიღებულ ფარგლებს.

ცვლილების ტექსტში, განმარტებით ბარათში და განხილვის პროცესში არ არის მოყვანილი დამაჯერებელი არგუმენტები ცვლილების რეალური მიზნის, შემოთავაზებული ინსტრუმენტების ადეკვატურობის, და არსებული კანონმდებლობის ფარგლებში პრობლემის მოგვარების შეუძლებლობის შესახებ. იქმნება შთაბეჭდილება რომ ასეთი ანალიზი არ ჩატარებულა.

ამავე დროს შემოთავაზებული ცვლილების ასეთი ფორმით მიღება ზიანს აყენებს ენერგეტიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს საფუძვლებს როგორცაა: სტრატეგიული გრძელვადიანი ხედვა, მარეგულირებლის დამოუკიდებლობა და კანონმდებლობის სტაბილობა. კერძოდ: 1. სტრატეგიული პროცნებების და პოლიტიკის შემუშავების ნაცვლად, სექტორში მფლობელობის რისკების დარეგულირება გადაეცემა სემეკს კერძო დისკრეციაში. 2. სახელმძღვანელო პრინციპების გარეშე კომისია დაუცველი ხდება სუბიექტურობის, პოლიტიკური ან კორუფციული ზეწოლებისგან რაც კიდევ უფრო ზრდის მისი დამოუკიდებლობის რისკებს; 3. ნაჩქარევი და უხარისხო ცვლილებებით ირღვევა ახალმიღებული ევროპული კანონმდებლობის სტაბილობა.

შემოთავაზებული ფორმით არ იძლევა დასახელებული საფრთხეებისგან დაცვის ეფექტურ ინსტრუმენტს. ამასთან, ქმნის მნიშვნელოვან განუზღვრელობას, ამცირებს ინვესტორთა და სექტორის მონაწილეთა ნდობას და უდიდეს დარტყმას აყენებს სექტორის განვითარების პერსპექტივებს, რაც ბევრად უფრო დამაზიანებელია ვიდრე შესაძლო ტრანზაქცია რომლის შეჩერებაც ამ ცვლილებით იგეგმება.

ვთხოვთ ჩართულ მხარეებს რომ დროებით შეჩერდეს კანონპროექტის დაჩქარებული განხილვა და მოიძებნოს პრობლემების გადაწყვეტის სხვა, თუნდაც დროებითი მექანიზმები. კანონპროექტის განხილვა გაგრძელდეს მისი სათანადო მომზადების და მარეგულირებელი გავლენის შეფასების შემდეგ.

